ოქმი:**ო03.37213442**

თარიღი:**10/12/2021**

# ოქმი № 1

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2021 წელი, 9 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** გელა ჩავლეშვილი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

**ესწრებოდნენ:** კომისიის წევრები: ვ.თოიძე, ნ.ღაჟონია, ე.გორდელაძე, ტ.აროშიძე, ლ.ბიგვავა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

## დღის წესრიგი

1.კომისიის დებულების შესახებ.

**მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი**

2.კომისიის სამუშაო ჯგუფების შესახებ.

**მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი**

3.კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის შესახებ.

**მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი**

სხდომის თავმჯდომარემ გ.ჩავლეშვილმა მოკლედ ილაპარაკა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედგენის მნიშვნელობაზე, მის კომპონენტებზე და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ამოცანებსა და მნიშვნელობაზე. აღნიშნა, რომ კომისიის მუშაობის ძირითადი ფუნქციები განსაზღვრულია მუნუციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში და ასევე გამომდინარეობს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებიდან, შემდეგ კომისიის წევრებს გაცნო წინა მოწვევის სკრებულოს მიერ დამტკიცებული კომისიის დებულება და განაცხადა, თუ კი კომისიის წევრებს არ ექნებათ შენიშვნები, ან თუ საკანონმდებლო ცვლილებებით არ არ დადგება ცვლილებების შეტანის საჭიროება, კომისია მუშაობას გააგრძელებს წინა მოწვევის საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულებით. კომისიის წვრებმა მხრი დაუჭირეს ამ წინადადებას.

კომისიის მუშაობის ამოცანების შესაბამისად სხდომის თავმჯდომარემ

გ.ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს შესთავაზა კომისიასთან სამი სამუშაო ჯგუფის:1. აუდიტის-უფროსი ბექა თოიძე; 2. შემოსავლების-უფროსი-ქეთევან ხომერიკი; 3. ხარჯვითი ნაწილის-უფროსი-ეროდი გორდელაძე. კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ამ წინადადებასაც.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს განუმარტა, რომ კომისიის წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელია ყოველწლიურად მუშაობის დაგეგმვა, სთხოვა კომისიის წევრებს წარმოედგინათ მომავალი სხდომისათვის წინადადებები.

**გადაწყვიტეს:**

1. კომისიამ იხელმძღვანელოს წინა მოწვევის საკრებულოს მიერ დამტკიცებული დებულებით.

2. კომისიასთან შეიმნას სამი სამუშაო ჯგუფი:1. აუდიტის-უფროსი ბექა თოიძე; 2. შემოსავლების-უფროსი-ქეთევან ხომერიკი; 3. ხარჯვითი ნაწილის-უფროსი-ეროდი გორდელაძე.

3. კომისიის წევრებმა მომავალ სხდომაზე წარმოადგინონ წინადადებები კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის შედგენა-დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი